

ახალგაზრდული მუშაკის მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა



თბილისი

2020

◆ **ახალგაზრდული საქმიანობა** ახალგაზრდებთან ეფექტურად მუშაობის თანამედროვე პროფესიული სფეროა, რომელიც ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდები არიან. შესაბამისად, ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული პირების აღმოჩენასა და მათ **ახალგაზრდულ მუშაკებად** გადამზადებას, მათთვის ინოვაციური მიდგომების სწავლებასა და ახალგაზრდებთან მუშაობის თანამედროვე პრინციპების გაზიარებას.

◆ **პროგრამის მიზანია**, ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების მიმწოდებელი პრაქტიკოსების, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარებისათვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა. პროგრამა ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა-განვითარებას, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტს და ხელს უწყობს ახალგაზრდებთან ეფექტურ მუშაობას.

◆ **კურსის ფორმატია:**

6 დღე თეორია

8 კვირა პრაქტიკა

4 დღე თეორია

12 კვირა პრაქტიკა.

◆ კურსის თეორიული ნაწილი ჩატარდება წინასწარ შეთანხმებულ სასწავლო ტრენინგ-ცენტრში, ხოლო პრაქტიკა, აპლიკანტის მიერ მითითებულ ლოკაციაზე.

🔔 ახალგაზრდობის სააგენტო სრულად ფარავს მგზავრობისა და საცხოვრებელ ხარჯებს თეორიული სწავლების განმავლობაში.

◆ კურსის ხანგრძლივობა : 6 თვე.

🔔 კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მონაწილეებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

◆ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩევა **30 პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკი**, შემდეგი მუნიციპალიტეტებიდან:

- ამბროლაური
- ახალციხე
- გორი
- ზუგდიდი
- მესტია
- ოზურგეთი
- ქობულეთი
- ქუთაისი
- წინამძღვრიანთკარი
- წნორი.

◆ შერჩევის კრიტერიუმები:

- ასაკი: 21 +
- განათლება: პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება;
- გამოცდილება: ბავშვებსა და/ან ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილება (რომელშიც იგულისხმება არაფორმალური შეხვედრების, სპორტული, შემეცნებითი, კულტურული, სამოქალაქო და სხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება);
- მაღალი მოტივაცია.

◆ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად, აპლიკანტმა მითითებულ მეილზე უნდა გამოაგზავნოს შემდეგი:

1) CV;

2) სამოტივაციო წერილი;

3) განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი ან/და ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ);

4) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

◆◆◆ გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ აპლიკაციის არასრულფასოვნად შევსების შემთხვევაში და მოთხოვნილი დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტი ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს.

დამატებითი ინფორმაციისთვის, მოგვწერეთ მითითებულ ელ.ფოსტაზე :

youthwork4youth@gmail.com , ან დაგვირეკეთ **599 22 63 92**.